

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახური

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ გენერალური აუდიტორის 2016 წლის 5 მაისის N2915/21 ბრძანების (იხ. www.sao.ge) შესაბამისად

საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია:

- გახსნას საარჩევნო კამპანიის ფონდი რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში
- დაუყოვნებლივ წარმოადგინოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ინფორმაცია საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების, ფონდის მმართველისა და ბუღალტერის შესახებ
- დამოუკიდებელი კანდიდატის შემთხვევაში სუბიექტი ვალდებულია ან დააფუძნოს არასამეწარმეო იურიდიულ პირი ან კანდიდატის სახელზე გახსნას ახალი საბანკო ანგარიში

სამკვირიანი და საარჩევნო პერიოდის დეკლარაციის წარმოდგენის გრაფიკი:

- მიმდინარე წლის 8 ივნისიდან 28 ივნისის ჩათვლით ინფორმაცია - 1 ივლისს;
- 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით ინფორმაცია - 22 ივლისს;
- 20 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით ინფორმაცია - 12 აგვისტოს;
- 10 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით ინფორმაცია - 2 სექტემბერს;
- 31 აგვისტოდან 20 სექტემბრის ჩათვლით ინფორმაცია - 23 სექტემბერს;
- 21 სექტემბრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით ინფორმაცია - 12 ოქტომბერს;
- 8 ივნისიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით ინფორმაცია - 26 ოქტომბერს (იმ საარჩევნო სუბიექტებმა, რომლებმაც წინასწარი მონაცემებით მიიღეს „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობა)
- 8 ივნისიდან არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე პერიოდის ინფორმაცია - არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან 1 თვეში (არჩევნებში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტმა)

დეკლარაციები წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობით მითითებული ოფისის მისამართზე და ელექტრონული ფორმით (Excel) - ელექტრონული ფოსტის მისამართზე – info-cpu@sao.ge

ანგარიშგების ფორმები განთავსებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.sao.ge ფინანსური მონიტორინგის განყოფილება - დეკლარაციის ფორმები:

- დამოუკიდებელი კანდიდატის საფინანსო დეკლარაციის ფორმები
- პოლიტიკური გაერთიანებებისათვის - საარჩევნო პერიოდის ფინანსური დეკლარაციის ფორმები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ასევე წარედგინება ინფორმაცია შემდეგი პერიოდულობით:

- შემოწირულებები/საწევრო შენატანები - 5 სამუშაო დღის ვადაში
- ნაღდი ფულით ოპერაცია საარჩევნო პერიოდში - 3-კვირიან დეკლარაციასთან ერთად
- პოლიტიკური რეკლამა საარჩევნო პერიოდში - 3-კვირიან დეკლარაციასთან ერთად

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

მონიტორინგის სამსახური (995 32) 243-81-54; **243-81-53** (ცხელი ხაზი - 24/7 შეკითხვის დატოვებით)

ელ.ფოსტა: cpu@sao.ge; info_cpu@sao.ge

ოფისის მისამართები:

თბილისი, 0144, ქეთევან დედოფლის გამზ. N96 ტელ.: (99532) 243-84-38

ქუთაისი, 4600, ირაკლი აბაშიძის ქ. N22 ტელ.: (99532) 243-82-82

ბათუმი, 6000, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. N7, იუსტიციის სახლი ტელ.: (99532) 243-81-97